ცვლილება საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში

(იურიდიული პირებისთვის)

1. იურიდიული პირების საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 10.1.2, 10.3.1 და 13.4 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.1.2 დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ბანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მათ შორის საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შეცვლის შესახებ; ასევე იქონიოს კომუნიკაციისთვის აუცილებელი მოწყობილობები და ქსელი (მათ შორის მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი) გამართულ/ჩართულ მდგომარეობაში. გამართულ მდგომარეობაში მათ შორის იგულისხმება ქართული და ლათინური შრიფტის/ფონტის წამკითხველი პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი არ აგებს პასუხს ამით გამოწვეულ შედეგებზე/ზიანზე;“

„10.3.1 მოსთხოვოს კლიენტს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტი ან/და უკვე წარდგენილი დოკუმენტის/ინფორმაციის განახლება ანგარიშის გახნის, კლიენტის სრულყოფილი იდენტიფიცირების, კლიენტის ანგარიშზე განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.“

„13.4 კლიენტი აცხადებს თანხმობას მის შესახებ ბანკში არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები, ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან და ანგარიშთან/განხორციელებულ (განსახორციელებელ) ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია ბანკმა გადასცეს სხვა კომერციულ ბანკს, შესაბამის საგადახდო სისტემას, ოპერატორსა ან/და შესაბამის პროვაიდერს, ასევე ბანკის მიერ შერჩეულ მხოლოდ იმ მესამე პირს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული ექნება ხელშეკრულება კონფიდენციალობის დაცვის შესახებ და, თუ აღნიშნული მესამე პირი უზრუნველყოფს კლიენტის პერსონალური მონაცემების სათანადო დაცვას, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამის უფლებამოსილ პირს, მათ შორის ბანკის ფინანსური მდგომარეობის შემოწმების მიზნებისთვის აუდიტორს, საგადასახადო კონსულტანტს, მრჩეველს, შემფასებელს და მათ დამხმარე პირებს, ხოლო სამართლებრივი დავის/წარმოების ან ადმინისტრაციული წარმოების არსებობის შემთხვევაში - სასამართლოს, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, არბიტრაჟს (თუ სხდომა/წარმოება დახურულია ან სასამართლოს/სხვა ორგანოს/პირის კანონიერი დავალებით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა მოითხოვა სხდომის/წარმოების დახურვა/გასაიდუმლოება, მაგრამ უარი ეთქვა), ადვოკატ(ებ)ს, კონსულტანტ(ებ)ს და მათ დამხმარე პირებს, ასევე ბანკის მიერ კლიენტის მიმართ თავისი უფლება-მოვალეობების მესამე პირებისთვის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წესით დათმობის/გადაცემის მომზადების/დადების/შესრულების მიზნით.“

2. იურიდიული პირების საბანკო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 10.1.13, 10.1.14 და 10.13 პუნქტები:

„10.1.13 დაუყოვნებლივ განაახლოს ბანკში წარდგენილი დოკუმენტები, ან/და წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები/ინფორმაცია ბანკის მოთხოვნის შესაბამისად.“

„10.1.14 კლიენტი ვალდებულია, აუნაზღაუროს ბანკს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შედეგად ბანკისთვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანი.“

„11.13 კლიენტი ვალდებულია, სრულად აანაზღაუროს კლიენტის ამ ხელშეკრულებით (მათ შორის 10.1.2, 10.1.3 და 10.1.13 პუნქტებით) ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული (კლიენტის მიერ შესრულებადი/შესასრულებელი) ვალდებულების დარღვევის შედეგად ბანკის მიერ გაწეული/გასაწევი/ბანკისთვის დაკისრებული ყველა და ნებისმიერი ხარჯი, მათ შორის საზედამხედველო ორგანოს (ეროვნული ბანკის) მიერ ბანკისთვის დაკისრებული სანქცია/ჯარიმა.“